პრესრელიზი

„ევროპული სკოლის“ მოსწავლეების პერსონალური პროექტების პრეზენტაციები ვისტუალურად

29 მაისს ევროპული სკოლის IB MYP პროგრამის მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ნაშრომები პერსონალური პროექტის გამოფენის ფარგლებში.

პროექტები სხვადასხვა თემას ეხებოდა: საგანმანათლებლო რესურსები, კომპიუტერული თამაშები და პროგრამები, ნეირობიოლოგიური პროექტები, სტარტაპები, ონლაინმაღაზიები, მოგზაურობის სახელმძღვანელო, ტურები, ფოტოალბომები და მრავალი სხვა.

MYP-ის 34 მოსწავლემ Google Hangout Meets გამოყენებით ვირტუალურად წარადგინა თავისი პროექტი თანასკოლელების, მშობლების, მასწავლებლების და ასევე სხვა საერთაშორისო სკოლის მოსწავლეებისა და მოწვეული სტუმრების წინაშე. საერთო ჯამში, პერსონალური პროექტების გამოფენას 150-ზე მეტი სტუმარი დაესწრო.

პერსონალური პროექტი არის ერთწლიანი პროექტი, რომლის დროსაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გამოავლინონ IB MYP-ის საფეხურზე შეძენილი უნარები და ცოდნა. საპროექტო თემები შეიძლება იყოს შემოქმედებითი ან კვლევაზე დაფუძნებული, რომლითაც მოსწავლე თავის პირად ინტერესსა და მისწრაფებას გამოხატავს.

პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები მთელი წლის განმავლობაში ეტაპობრივად იზრდებიან, რადგანაც იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზების პროცესში, რაც მათ საბოლოოდ აყალიბებს, როგორც IB-ის შემმეცნებლებს.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
„ევროპული სკოლის“ პიარმენეჯერი ნინო კუსრაშვილი
მობ.:(+995 93) 18 66 71, ელ-ფოსტა: nino.kusrashvili@europeanschool.ge